ოქმი:**ო37.37212091**

თარიღი:**28/07/2021**

ოქმი #17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2021წელი, 26 ივლისი

ქ. ოზურგეთი

12^{00} – 13^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, გ. ჩაგანავა, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, ლ.ბიგვავა, ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, ლ.საჯაია, გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე, შ.გოგიბერიძე.

სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 13, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

კამათი მოჰყვა გრეიდერის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის საკითხის გადაწყვეტას, რადგან მისი გასხვისების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი რჩება გრეიდერის გარეშე, ბიუროს წევრებმა მოითხოვეს სადეფექტო აქტებისა და სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა, საბოლოოდ გადაწყდა- საკითხის განხილვა მოხდეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. „ქ.ოზურგეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძისა და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

შეტანილ იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

3. „ქ.ოზურგეთში მ.კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

შეტანილ იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის -სოფელ ნაღობილევში სასმელი წყლის სისტემის მოწყობისა შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე), კონტროლის მიზნით დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა), ეცნობოს პეტიციის ავტორს.

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

შეტანილ იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

შეტანილ იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში,

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N2, 3, 5 ,6 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, ამასთან N2, 3, 5 საკითხები განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

2. N1 საკითხის განხილვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ მოხდეს საკრებულოს სხდომაზე.

3. პეტიცია რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე), კონტროლის მიზნით დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა), ეცნობოს პეტიციის ავტორს.

4. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 30 ივლისს 12.00 საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი